

1-6 სტრ., 336r

ქ. სახელითა მღვთა მე კონსტანტინე მეფემან ძემან სულკუხელის ბაგრატ აფხაზთა მეფისამან ვპოე საჭურჭლესა ქუთათის ქუთათის მდივანი მეფეთა შინა ეწერა სახელები მეფეთა და დაძველებულ იყო და ახლად გარდავა წერინე. პი მეფე აფხაზეთისა იყო ანოს; მეორე შვილი მისი ლოზარ; მესამე შვილი მისი ისტვიანე; მეოთხე შვილი მისი თვინიკტიოს; მეხუთე შვილი მისი ბაკურ; მეექვსე შვილი მისი დიმიტრი; მეშვიდე შვილი მისი

1-26 სტრ., 336v

თეოდოსი; მერვე შვილი მისი კონსტანტინე; მეცხრე შვილი მისი თეოდორე; მესამე შვილი შვილი მისი კონსტანტინე; მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ რწ დაყო მეფო ბასა შინა თვსსა წელიწადი ორმოცდა ხუთი; მეათორმეტე თეოდოსი, რწ დაყო მეფობასა შინა თვსსა წელიწადი ოცდაშვიდი; მეთსამეტე ძმა მისი დემეტრე მეფობდა ოცდა თექვსმეტ წელ; მეათოთხმეტე ძმა მათი გიორგი მეფობდა რომელს საუფლისწულად აღწუფი ჰქონდა და ამისთვის ეწოდა მას გიორგი აღწუფელი ამან იმეფა შვიდ წელს. მეათხუთმეტე შვილი დემეტრესი ბაგრატ მეფობდა თორმეტ წელ; მეათექვსმეტე შვილი კონსტანტინე მეფობდა ოცდა ცხრამეტ წელ; მეათჩვიდმეტე შვილი მისი გიორგი მეფობდა ორმოც და ხუთ წელ; მეათვრამეტე შვილი მისი ლეონ მეფობდა ათ წელ; მეათცხრამეტე ძმა მისი დიმიტრი მეფობდა რვა წელ; მეოცე ძმავე მისი თეოდოსი თვალდამ

წვარი მეფობდა სამ წელ და ამათსა შდ ინება ღთ და დავიპყარ მე ქყანა აფხაზეთისა დედული ჩემი ბაგრატ ბაგრატიანმან ძემან სულკურთხეულისა გურგენისამან და ასულის წულმან გიორგი აფხაზთ მეფისამან და თუ მე რაოდენთა წელთა დავყოფ მეფობასა ჩემსა ეს ღწ უწყის ხ მეფობდა ესე ბაგრატ ოცდა ათექვსმეტ წელ და შდ იმისსა მეფობდა გიორგი ათ ცამეტ წელ და ხუთ თვე

ქ. დასაბამითგან ქ ეს მოსლვამდის წელნი იყვნეს ხუთი ათას და ხუთას და ოცდა ექვს; ქართლი მოიქცა ნინოს ქადაგებითა ქს ამალღებითგან სამას ოცდა თვრამეტ წელსა დასაბამითგან წელთა ხუთი ათას რვაას ოცდა ათვრამეტთა და წწ ნინო დაყო ქართლსა ათ თოთხმეტი და ამასვე ქა იყო დიდი კონსტანტინე ბერძენთა მეფე და თრდატ სომეხთ მეფე წის გრიგოლის მიერ მოიქცა. ხ მირიანითგან ვე ვახტანგის მეოთხის შვილის ფარსადანისა მდე გარდახდეს წელი ორასნი და მეფენი ათორმეტნი და ამას ქა მოვიდა იწე შუამდინარეთით, რწ ლსა ეწოდების იწე ზედაზნელი დასაბამითგან წელთა ხწრდ ამდონს იყო მოჰამედ ბოროტი და შდ მისსა დისწულმან მისმან ყრუ მურვან წარილო ყი ქყანა რწლისა მიერ იწამნეს აფხაზეთს ღთ და კონსტანტინე

1-28 სტრ., 337r

და ამისა შდ გამოჩნდა ღთ წწყლისა ტომით ადარნასე დისწული ბარმისა რწი ეზრახა შვილთა ვახტანგ გორგასალისათა და აქ იწყო ტომებმან ღთ წწყი სამან რწ არიან ბაგრატიოვანნი. ხ იწყეს მეფობა ბაგრატიანთა ქკსა მეთსამ ეტად მოქცეულსა შინა და მოიკლა დიდი აშოტ ქორონიკონსა ორმოცდა მეექვსესა მეგრელთაგან; ბაგრატ გურგენის შვილისა დღეთა რწლნ ერთ სამეფო ჰყო აფხა

ზეთი და ტ~თ იყო ეფთვიმე მთაწმიდელი თარგმანი ქვეყანით ტაოელი: ქ~კსა

ორას ოცდა თოთხმეტსა და ამისსა შ~დ იყო ბაგრატ სევასტოსი ქ~კსა ორას ორმოცდა თორმეტს რ~ლისა ჟამთა შინა იყო თარგმანი გ~ი მთაწმიდელი და ამის შ~დ დიდის დავითის დღეთა იყვნეს თარგანი წიგნთანი ეფრემ მცირე და თეოფილე არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭის ძე: ხ~ ესე დავით მეფე წ~წყისა დავითის სამეოცდა მეთვრამეტე შვილი იყო. ხ~ ქ~კს მოსლვა მეთერთმეტედ მოციქულისა ქ~კსა შინა იყო და მოჰამად მეთორმეტედ მოციქულისა და გამოიღო დიდმან დ~თ მეფემან ტბილისი ქ~კსა სამას ორმოცდა ხუთს და შ~დ მისსა დიმიტრი სამას სამოცდათექვსმეტსა შ~დ მისსა გიორგი ოთხასსა თამარ დაჯდა მეფედ და დაებადა მას ლაშა გიორგი ქ~კსა ოთხას თორმეტსა და მოკუდა გიორგი მეფე ბ გვარისა იანვარისასა ათვრამეტსა დღეს ოთხშაბათს ქ~კსა ოთხას ორმოცდა ორსა:

ცოტა რამ მეფეთა ცხოვრება ვპოვე და ამას ზ~ა დავწერე ქართველთა ქ~კსა ხუთას ოცდა თორმეტი წელიწადი ერთი მოქცევა იქნება და ამას უკან ახალი დაიწყო ების. ამას წინანდელს მოქცევასა ქ~კსა სამას ოცდა შვიდმეტსა: აღმაშენებელმან წაუღო თათართა ლორეს ციხე: ამავე ქ~კსა სამას ორმოცდა ერთსა წაუღო მანვე აღმაშენებელმან თბილისის ქალაქი თათართა რ~ლ ვახტანგ გორგასლის უკან თათართა ჰქონდათ: ამავე ქ~კსა სამას ორმოცდა სამს წაუღო მანვე აღმაშენებელმა ანის ქალაქი არფასჯანიანთა და ამოსწყვიტნა იგინი რ~ლთა დიდი საყდარი ანისი მიძგითად მოეკაზმა და ქე~ანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ იმუქაფა დ~თისმოყვარემან დ~თ აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო საყდარი იგი ახლად მონათლად რ~ი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს პატრონიტეს და იქი ესაფლავა: მივიდეს მეფე და კ~ზი ეპისკოპოსნი

1-28 სტრ., 337v

და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა ახლად წესი აუგეს და თვთან მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახნა გიხსენ შენ წ~ო დედოფალო რ~ იქსნა დ~ნ საყდარი შ~ი უსჯულოთა ჰელთაგან ამას ზედან მკუდარმან ძვალმან საფლავით ჰმა ამოიღო და დ~თს მადლი მისცა გაუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა. გამოვიდა ხანი გარდაცდა დ~თ აღმაშენებელი ამიერ სოფლით. და დაჯდა შ~დ მისსა შვილი მისი ზურაბ მეფედ. და დემეტრე დაიჭირა ყ~ნი სამე

ფო ამავე ქ~კსა სამას ორმოცდა ხუთს. მიუხდა დმანისს წაუღო ციხე და ამოსწყვიტნა ყარსსულულანი. ამასა ზ~ა მოუხდა მოუხდა სადუხ ყაენი ანის ქალაქსა, მოადგა აქათ დემეტრე მეფე მივიდა შეიბნეს ნებითა დ~თა მეფეს გაემარჯვა დაჯოცნა და ამოსწყვიტნა და ამავე ქ~კსა ტო ამდონს მიიცვალა დიმიტრი მეფე. დაჯდა მეფედ შვილი მისი დ~თ განგებისაგან მეტი დღე არ ტვა წლის გათავებაზედ იგიც მოკუდა. და დაჯდა მეფედ დიდი გიორგი რ~ლნ ვარძია აღაშენა მოაყენა საზღვართა მისთათა ყ~ნი მეგრძოლნი მისნი გაამაგრა ყ~ნი სამეფონი და აღაშენა საყდარნი ამავე ქ~კსა ტ~ოზ ამდონს და მოკ~და ელკეზ ყაენი. ანისს ოცდაათს დღეს გარს ადგა აქათ მოუცდა გ~ი მეფე შეება და გააქცია და ამოსწყვიტნა ნებითა დ~თა: ამავე ქ~კსა ტ~დ სამას ოთხმოცდა თოთხმეტსა მიიცვალა დიდი გ~ი და დაჯდა მეფედ შვილი მისი თამარ მეფე მრავალჯერ მოუცდეს თათარნი. ვერა რათ აზიანეს ნებითა დ~თა მიეცა ამას

შვილი ლაშა გიორგი. დიდი სიხარული შეიქმნა ლაშქართა შინა, გამოვიდა ხანი: ქკს უია ამდონ მიიცვალა თამარ მეფე. დაჯდა მეფედ ლაშა გი. გაუმახა ლაშქარნი და ამოსწყვიტნა მრავალნი ქალაქნი ვიდრე არქემის კარამდი. ქკსა უკზ მიიცვალა ლაშა გიორგი და დაჯდა მეფედ რუსუდან და ვერა კარგად დააწყო სამეფონი მისსა ქა შიგან გამოჩნდა ნიშანი აღმოსავლეთს ბოდიანი ნათელი ვარსკვლავი და კიდევ ამოსწყდეს სამეფონი. ქკსა უნა ამავე თარიღში მოკდა რუსუდან მეფე მოუხდა ფარუხ ფოლად ამოსწყვიდნა სრულად სამეფონი. და არავინ ჰყვა გამვლენი ამ დროსა ალასტანელისა შვილი დთ მეფე მოვიდა ყაენს წე მეფობისა გამო სათხოვნად. და ვე იქით მოუბრუნდებოდა მიუხდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლნი. გარდავლნეს ამავე ქკს უილ ქკს მიუცდეს ფრანგნი ბერძენთა და კონსტანტინეპოლი წაუღეს ამავე ქკსა ულგ. ქკს დაიჭირეს ფრანგთა ილლიმი სახლი და დიდი სიხარული შეიქნა სდ საქვანო შიგან პლნი მეფენი ესენი არიან ამათ